

ენერგოკომპანიებში ინოვაციური პროცესების ორგანიზება

ენერგეტიკული საწარმოები წარმოადგენს კაპიტალტევად საწარმოებს, რომლებიც აღჭურვილი არიან თანამედროვე და საიმედო დანადგარებით და მოწყობილობებით, რომელთა ექსპლუატაცია და გამოყენება ხდება მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებით.

ენერგოკომპანიებში ინოვაციური საქმიანობის წარმართვისათვის გამოიყენება სხვადასხვა ორგანიზაციული რესურსები, რომელთა დაჯგუფება ხდება მათი შინაარსობრივი ხასიათის მიხედვით, მათ მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრება, კომპანიის მენეჯმენტის სისტემა, ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები, მომცველ გარემოსთან ურთიერთობები.

ენერგოკომპანიის ინტელექტუალურ საკუთრებათ მიგვაჩნია ენერგოკომპანიის მაღალკვალიფიციური პერსონალი, რადგანაც დარგი მაღალი ხარისხის დონის ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, შესაბამისად მენეჯერული, საინჟინერო და ტექნიკური პერსონალიც მაღალპროფესიულია და მათი საქმიანობიდან გამომდინარე ისინი შემოქმედებითად უდგებიან თავის საქმეს და შედეგებიც შეიძლება იყოს გამოგონებების, პატენტების, გამოკვლევების, საავტორო უფლებების, ლიცენზიების, სამეცნიერო ნაშრომებისა და სხვა სახით. ენერგოკომპანიის პერსონალის ინტელექტუალური საკუთრება წარმოადგენს მის კონკურენტუნარიანობას, ინოვაციური პროცესების განვითარებისა და მართვის საფუძველს.

ენერგოკომპანიის მენეჯმენტში მოიაზრება ენერგოკომპანიის ობიექტებში საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების მართვა, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, სხვადასხვა ორგანიზაციული პროცესები, რომელიც დაფუძნებულია მართვის იერარქიული ტიპის სტრუქტურაზე, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის მართვის პირდაპირი მეთოდების გამოყენებას.

მენეჯმენტის ეს ორივე მიმართულება: საწარმოო პროცესებისა და ტექნოლოგიების ასევე პერსონალის ეფექტიანი მართვა ხელს უწყობს ენერგოკომპანიაში საინოვაციო პროცესების ორგანიზებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია საინ-

**ბ. აგოლაძე – სრ. პროფ.,
მ. ლომსაძე-კუჭავა – სრ. პროფ.,
ჯ. ღუბლაძე – დოქტორანტი**

ოვაციო პროცესების ორგანიზაციის სხვადასხვა მოდელები დაპროცესები. ინოვაციების სახის მიხედვით ისინი წარმოადგენენ ახალ ინოვაციას მსოფლიოში, ახალი ინოვაციის დარგში ან მოცემულ კომპანიაში და ხასიათდებიან: მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით, საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების მოთხოვნილებებით ასევე საზოგადოების მოთხოვნილებების მიხედვით.

ცნობილია, რომ საინოვაციო პროცესი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ინოვაციების ინიციატია, მარკეტინგ, წარმოება, რეალიზაცია, ბაზარზე წინ წაწევა (პრომოუშენი), ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება, გავრცელება (დიფუზია)

ენერგოკომპანიებში ინოვაციების ინიციატია ხდება პირველ რიგში მენეჯმენტის, საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების მოთხოვნილებების მიხედვით.

ენერგოკომპანიებში ინოვაციური პროცესების ორგანიზების ხელშემწყობ ფაქტორებს მიეკუთვნება:

1. ეკონომიკურ-ტექნოლოგიური სადაც გაითვალისწინება ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საშუალებების რეზერვი, პროგრესული ტექნოლოგიები (რაც აუცილებელი ფაქტორია ენერგეტიკაში) პერსონალის ინტელექტუალური საკუთრება და აუცილებელი სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო ინფრასტრუქტურა.

2. სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები მათ შორის: ინოვაციური პროცესის მონაწილეთა მორალური წახალისება, კომპანიაში მათი საქმიანობის წარმოჩენა და შემოქმედებით საქმიანობაში ხელშესწეობა.

3. ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორები. როგორიცაა კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის მოქნილობა, მართვის დემოკრატიული სტილი, მმართველთა მიერ თავიანთი ვალდებულებების დელეგირება ხელქვეითებზე

– მართვის დეცენტრალიზაცია, შემოქმედებითი მიზნობრივი მუშა ჯგუფების ფორმირება, პროექტებში კორექტირებაზე ნებადართვა და ა.შ ცნობილია, რომ ინოვაციური პროცესის წარმატებით განვითარებამ შეიძლება ენერგოკომპანიას მოუტანოს დიდი მოგება, მაგრამ როგორც ვიცით ინოვაციური პროცესების განვითარებაზე ძირითადი ხელშემშლელ ფაქტორებს მიეკუთვნება: სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, კერძოდ მომუშავეთა სტატუსის შეცვლა, მათ მიერ ახალი სამუშაოს ძიება, ახალი სამუშაოს გარდაქმნა, შემუშავებული ქცევებისა და ჩამოყალიბებული ტრადიციების რღვევა, განუსაზღვრელობის შიში და სხვა. ეს ფაქტორები უშუალოდ ეხება პერსონალს და მიუხედავად ამისა ინოვაციის დანერგვა ყოველთვის წარმოადგენს მთელ კომპანიის წარმატების საწინდარს.

ფაქტორებიდან, რომლებიც საინოვაციო პროცესის ორგანიზების ხელშემშლელია გამოვყოფდი: გადამეტებული მართვის ცენტრალიზაცია, მართვის ავტორიტარული სტილი, მოკლევადიან მოგებაზე ორიენტაცია, სირთულე ინოვაციური პროცესის მონაწილეთა ინტერესების შეთანხმებაზე.

საქართველოში მოქმედებს რამდენიმე მსხვილი ენერგოკომპანია, რომლებსაც თავისი შემოსავლებითა და მოგებით შეუძლიათ გართულებების გარეშე წარმართონ ინოვაციური პროცესი. მიუხედავად ამისა ინოვაციების საქმეში გაითვალისწინება დარგობრივი თავისებურებები და საქმიანი გარემოს თავისებურებები¹ და მათი გათვალისწინებით ენერგეტიკაში მაღალია პირველსაწყისი დაბანდების ღირებულება, ამოღების გრძელი პერიოდი და შეზღუდულია დაფინანსების შიგა წყაროები, ამიტომაც მმართველურ საქმიანობაში პრიორიტეტულადაა მიღებული გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვა და ორგანიზაციული რესურსის პრიორიტეტულ ჯგუფს წარმოადგენს პარტნიორობთან და მომხმარებელთან ურთიერთობა

კითვალისწინებთ, რა ენერგეტიკული კომპანიების დარგობრივ თავისებურებებს კომპანიებში უნდა გაიზარდოს კომპანიისა და პერსონალის ინოვაციური აქტიურობა. შედეგად კომპანიამ შეიძლება მიიღოს მნიშვნელოვანი უპირატესობები შემდეგი მიმართულებების მიხედვით პერსონალის ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება, საკუთარი სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება, ყოველმხრივი მმართველური კონტროლი სტრატეგიულ

გეგმებზე, საწარმო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, უპირატესი ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარება.

ენერგოკომპანიაში ინოვაციური პროცესების ორგანიზების თავისებურებების გათვალისწინებით ჩვენ არსებული მოდელებისაგან განსხვავებით მიგვაჩნია ეს პროცესი წარიმართოს შემდეგი სქემის მიხედვით: 1. ინოვაციური იდეების პირველსაწყისი კვლევა და ძიება. ამ შემთხვევაში საჭიროა მათი მომხმარებლური პოტენციალის განსაზღვრა, იდეების ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასაბუთება, მათი დანერგვის ან რეალიზაციის შესაძლებლობის განსაზღვრა.

2. ჩატარებული კვლევებისა და ძიების ანალიზის შემდეგ ყველაზე გამორჩეული ინოვაციური იდეა წარმოადგენს თუ არა როგორც ენერგოკომპანიისათვის ასევე ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამის პერსპექტიულ იდეას?

3. შერჩეული იდეების დაწვრილებითი გამოკვლევა კერძოდ ჩატარებული საჭირო ტექნიკური ბაზის შემოწმება და საფინანსო ეკონომიკური ანალიზი.

4. შერჩეული იდეების ინოვაციური პროექტის ბიზნეს-გეგმის დამუშავება.

5. ინოვაციური პროექტის ბიზნეს-გეგმის შეფასება და დადგენა შეესაბამება თუ არა ჩატარებული სამუშაოები ინოვაციური პროექტის პერსპექტივას, ღირს თუ არა მასზე მუშაობის გაგრძელება?

6. ინოვაციურ პროექტზე ინვესტირების სტრატეგია

7. ინოვაციური იდეის განხორციელება-ინოვაციური პროცესის განვითარება და ინოვაციური პროდუქციის მიღება

8. ინოვაციის დანერგვის ორგანიზული და მენეჯმენტი

9. პროცესის მონაწილეთა მოტივაციის კონტროლი²

ინოვაციური პროცესის ორგანიზების მოდელში არაა გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა ინოვაციური სამუშაოების მრავალვარიანტიანი დაფინანსების საკითხი, არაა გათვლილი რა რისკებთან გვაქვს საქმე. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინოვაციური პროცესების ორგანიზების მოდელი წარმოადგენს ინოვაციური მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთ საწინდარს.

1. Е. Третьякова “Моделирование поведения компании”. “Проблемы, теории и практики управления” №86, 2013.

2. С. Межов, О. нежинский “Инвестиционные стратегии и оценка эффективности” „Проблемы теории и практики управления”, №1, 2013

В ЭНЕРГОКОМПАНИИ УСТРОИВАНИЕ ИНОВАЦИОННЫХ ПРОЦЕССОВ

*АМКОЛАДЗЕ Г. И. - Профессор,
ЛОМСАДЗЕ-КУЧАВА М. - Профессор
ДУГЛАДЗЕ ДЖ. Т. - Докторант*

В работе дана характеристика составных частей организационного ресурса в энергокомпании для организации инновационного процесса, основной акцент уделяется на интеллектуальную собственность персонала, как основу развития инновационного процесса в компании.

Предлагается авторский модель организации инновационного процесса в энергокомпании.

INOVETIVE PROCESS IN THE ENERGY COMPANIES

*AMKOLADZE G - Full professor,
LOMSADZE-KUCHAVA M. - Full professor,
DUGLADZE J. - Ph.D student*

The paper describes an inovetive process of organizing in the Energy company and its constituent parts, Particular emphasis was placed on the intellectual property of the staff as a basis for the development of inovetive proceses. By author is proposed the model innovation proceses for organization, which provides a new approach to the organization for innovation process.